„გიჩუენო გემოჲ მდინარისა დიდისა“

(მზექალა შანიძის საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვა)

მზექალა შანიძე არის ჩემი თაობის და პირადად ჩემი პირველი გამოცდილება, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო, ან უნდა ყოფილიყო სისტემა, რომელიც გაძლევს საშუალებას, ისწავლო და მერე უკვე იმუშაო სამართლიან გარემოში და გქონდეს პროფესიული ზრდის შესაძლებლობა. ეს მაღალი სტანდარტების საგანმანათლებლო ფუნქცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც მთლიან ინსტიტუციას, იმ დროს, ყოველ შემთხვევაში, როცა მე იქ ვსწავლობდი, 80-იანი წლების დასაწყისში, ნამდვილად აღარ ჰქონდა; სისტემა მუშაობდა თითო-ოროლა პროფესიონალის ხარჯზე, რომლებიც შეუდარებლად კარგად ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობებს; ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ ამ თითო-ოროლადან ყველაზე გამორჩეული თავისი პირდაპირობით, მიუკერძოებლობით, პროფესიონალიზმით და მაღალი სამეცნიერო ეთიკით, მზექალა შანიძე, იყო ჯერ ჩემი მასწავლებელი, შემდეგ ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი – მე პირველი ასპირანტი ვიყავი, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით დაიცვა დისერტაცია – შემდეგ უკვე „ორიონელი“ კოლეგა და მეგობარი.

დღეს განსაკუთრებით ვღელავ. ალბათ, ყველაზე რთულია, შენი გამორჩეული მასწავლებელი წარუდგინო შენსავე სტუდენტებს და პირიქით, მასწავლებელს – სტუდენტები. რთულია იმიტომაც, რომ რეალურად სწორედ მათ უშუალო კავშირზეა მიბმული თაობებს შორის უწყვეტი მემკვიდრეობითობის იდეა, რომლის გარეშე ვერ იარსებებს ვერანაირი საზოგადოება, მათ შორის სამეცნიერო. თაობებს შორის ამგვარი კავშირის განცდა დაინტერესებულ სტუდენტს ყველაზე მეტად უჩნდება დარგში ლეგენდად ქცეულ პროფესიონალთან უშუალო შეხვედრისას.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მზექალა შანიძე ქართული ფილოლოგიისთვის სწორედ ასეთი ცოცხალი ლეგენდაა. სულ რამდენიმე მასწავლებელი მყავს, რომელთა წყალობით ვთვლი, რომ მე

მოვესწარი საქართველოში ყველა დროის ყველაზე დიდ ევროპულ იდეას, რასაც ერქვა 1918 წლის ქართული უნივერსიტეტი; იდეას, რომელიც ჩემამდე, რიგით სტუდენტამდე, მოიტანა თითო-ოროლა ადამიანმა, პირველ რიგში, ქალბატონმა მზექალამ, ირაკლი შენგელიამ, ნიკო ყიასაშვილმა, ალექსანდრე გვახარიამ. ეს იყო მეცნიერული კეთილსინდისიერების, პროფესიული დამოუკიდებლობის, თუ სხვების უფლებების დაცვის იდეა; ის, რაც საბჭოური სისტემისთვის ყოვლად გაუგებარი გამონაკლისია.

ამას წინათ ერთმა ჩემმა ბელგიელმა კოლეგამ მკითხა, თქვენს ქვეყანაში რომელ უფლებადამცველ ინსტიტუტს, პიროვნებას ენდობით ყველაზე მეტადო. ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი მიმაჩნია ყველაზე დიდ ავტორიტეტად უფლებადამცველებს შორის მეთქი, ვუპასუხე. ჩემი კოლეგა ძალიან დაიბნა: ჩემს ასაკს რომ ჩემსა და ხელმძღვანელს შორის შესაძლო სხვაობა მიუმატა, კი „მოხვდა' საბჭოთა კავშირში და, ცხადია, ვერაფრით წარმოიდგინა იმ სისტემაში სხვების უფლებების დამცველი. ვერ წარმოიდგინა, რომ ჩემი ხელმძღვანელი მზექალა შანიძე სისტემის ის „გაუგებარი" გამონაკლისი იყო, რომელიც არა მარტო თავად იყო ასეთი უფლებადამცველი, არამედ ყოველ წელს, ანუ სისტემურად, ქმნიდა პატარა, მაგრამ სრულფასოვან პროფესიულ, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამართლებლივ ჯგუფს, ლეგენდარულ „მზექალას კომისიას" იმათი უფლებების დასაცავად, ვინც არ ეკუთვნოდა საქართველოს საბჭოთა „ბიძაშვილების" რესპუბლიკას. აი, ამ ყველაფერს როგორ ახერხებდა ის ყოველგვარი ვიდეოკამერების, დაცვის თანამედროვე სისტემის გარეშე, ეს მართლა გამოცანაა.

ქალბატონო მზექალა, უკვალოდ მართლაც არაფერი იკარგება, თქვენი შვილიშვილი ელისაბედი, მერვე თუ მეცხრე კლასელი იყო, ევროპის ახალგაზრდულ პარლამენტში შთამბეჭდავი სიტყვით რომ გამოდიოდა, დიახაც იმ ლეგენდარული უფლებადამცველი კომისიის თავმჯდომარე მზექალა შანიძის უშუალო გაგრძელებაა, სხვები, ნათიას, მარიამის, მიხოს, მიშოს შვილები, სხვა – მეცნიერ, ან მასწავლებელ მზექალა შანიძეს გააგრძელებენ, რომელზეც აუცილებლად უნდა ვთქვა ორი სიტყვა.

ვინც თვალს ადევნებს ქალბატონი მზექალას შრომებს, დამეთანხმება, რომ მას თეორეტიკოსობა დიდად არ იტაცებს; რა თქმა უნდა, ყველა მის ნაშრომში, თეორიული საფუძველმდებარე პლანია, მაგრამ წინა პლანი არის კვლევა, რომელიც პროვოცირებულია ყოველთვის ერთი რომელიმე საკითხით, კონკრეტული ფილოლოგიური პრობლემით. ის ფრთხილად სვამს კითხვას, აგერ ეს კონკრეტული ადგილი,

ფრაგმენტი ან სიტყვა ხომ არ არის ამ თეორიული კონცეპტის ანარეკლიო და მთელი კვლევა ტრიალებს ამ კონკრეტული ტექსტის, წინადადების, ფრაზის, სიტყვის, ან თუნდაც სუფიქსის გარშემო და არა თეორიული ნაწილის, განსაკუთრებით ამ თეორიის გადმომღერების ირგვლივ, როგორც ეს არც თუ იშვიათად ხდება ჩვენში.

მუშაობის ეს მართლაც ძალიან დახვეწილი სტილი, დეტალების ხელოვნება აერთიანებს ქალბატონ მზექალას მის შორეულ წინაპართან, შუა საუკუნეების ყველაზე დიდ ქართველ ფილოლოგთან, რომლის ტექსტების კვლევას და პუბლიკაციას ქალბატონი მზექალა დღემდე აგრძელებს. ვგულისხმობ ქართული გრამატიკული „ტეხნეს“ სისტემატიზატორს და სწორედ დეტალების ოსტატს, ეფრემ მცირეს, რომლის თვითდახასიათება ყველაზე მეტად ესადაგება მისი მკვლევრის და გამომცემლის, მზექალა შანიძის დახასიათებას: ერთ-ერთი თარგმანის შესავალში ეფრემი ასე აღწერს თავის ჰერმენევტიკას: „რაჲთა კნინ-ოდენითა გემოჲს-ხილვითა გიჩუენო გემოჲ მდინარისა დიდისა და მცირისა მიერ ფესვსა განგიცხადო ყოველი ქსოვილებაჲ სამოსლისაჲ“. ეფრემი გვეუბნება, რომ ის მხოლოდ ერთ პატარა წვეთს იღებს, რომლის მიხედვითაც მთელი მდინარის გემოს გაგვაგებინებს, ერთი პატარა ნაგლეჯით, ფრაგმენტით მთელ სტრუქტურას, „ქსოვილებას“ დაგვნახებს.

ეს არის ძველთაძველი იერარქიულ-გვარობრივი წესი, ფილოლოგიაში ჯერ კიდევ ამონიოსის მიერ სისტემად დამკვიდრებული, რომლის მთავარი მექანიზმი არის მთლიანი სტრუქტურის მატარებელი უმცირესის გამოყოფა და არა უბრალოდ უმცირესის. ამ სისტემატიკის უნიკალური მაგალითია ჩვენი დღევანდელი იუბილარი, რომელიც მთელი თავისი მეცნიერებით გვასწავლის, როგორ უნდა განვსაზღვროთ დიდი იერარქიის მაკონსტრუირებელი მცირე დეტალი და პატარა ბრჭყალის მიხედვით როგორ ამოვიცნოთ დიდი ლომი.

ეს მეცნიერი მზექალა შანიძე, ახლა ორი სიტყვა მასწავლებელ მზექალა შანიძეზეც უნდა ვთქვა. ჩვენ ერთად ვმუშაობდით ხელნაწერებზე, ქალბატონ მზექალას ედო ძირითადი ტექსტი და ვარიანტები, ათასჯერ შემოწმებული, ათასჯერ აწონ-დაწონილი და ჩვენ – თითოთითო ხელნაწერი, საიდანაც ვუდასტურებდით იკითხვისების სისწორეს. როგორც წესი, ვჩერდებოდით პირველსავე წინადადებაზე და იწყებოდა ლექცია-სემინარების მთელი ციკლი; ზოგჯერ მთელი დღე უნდებოდა ქალბატონი მზექალა ჩვენს „მომზადებას“ ხელნაწერისთვის; კარადიდან თანდათან გადმოალაგებდა ბატონი აკაკის ნაქონ

წიგნებს, უკვირდა, როგორ, ამის ცოდნის გარეშე აპირებთ ხელნაწერზე მუშაობასო.

წელს, 16 იანვარს, ქალბატონი მზექალას დაბადების დღეზე, მასთან სახლში რომ ვიყავით, ნანა შუღლაძემ გაიხსენა ერთი ასეთი „გაკვეთილი“: დილის 10 საათზე დაგვიბარა ქალბატონმა მზექალამ სახლში. სამი საათი გახდა და ვერაფრით დავიწყეთ ხელნაწერის კითხვა, ხან პრაქტიკულად გვავარჯიშებდა, ხან სტატიებზე გვამუშავებდა, ხან რა დაგვიწუნა, ხან – რა. საღამოს ექვსი საათი რომ გახდა, ნანამ მორიდებით იკითხა – ნანას ქალბატონი მზექალა დეიდად ერგება და ამან გააბედინა – ძალიან დავიღალეთ და ხომ არ წავიდეთ სახლშიო? ქალბატონმა მზექალამ გაიკვირვა, ჯერ არც დაგვიწყია და თქვენ რამ დაგღალათ, მე რატომ არ დავიღალეო. ნანამ არ „დათმო“ საკუთარი უფლებები: თქვენ რომ არ იღლებით, ამიტომაც ხართ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი მზექალა შანიძე, მე ერთი ჩვეულებრივი ნანა შუღლაძე ვარ და, რამდენადაც ვიცი, უნდა მქონდეს დაღლის უფლებაო.

სულ ვფიქრობდი, როგორ უთმობდა ამგვარ „საშინაო გაკვეთილებს“ უამრავ დროს და ენერგიას, რითაც რამდენიმე სტატიას მაინც დაწერდა. მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო, სულ ქმნიდა პროფესიულ სამუშაო გარემოს, ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას, გიორგი წერეთლის თაობაში დაგროვილი მემკვიდრეობითი ცოდნის გადამცემ მექანიზმს. ზუსტად იცოდა, რომ სწორედ ასე შექმნილ გარემოში ექნებოდა იმ სტატიებსაც ფასი. აი, ამიტომაც არის მზექალა შანიძე ყველასგან გამორჩეული იმ ღირებულებებით, რასაც ჰქვია მთლიან საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეზე პასუხისმგებლობის აღება.

ქალბატონო მზექალა, გულითადი მადლობა თქვენ ამისთვის მთელი თაობებისგან, მათ შორის ჩემი სტუდენტებისგან, რომლებთანაც ხშირად გიმოწმებთ, უნდა გამოვტყდე: არა მარტო ვამაყობ, ვტრაბახობ კიდეც. გულითადი მადლობა თქვენ უამრავი ძალიან საინტერესო და სასიამოვნო პროფესიული თუ უბრალოდ ადამიანური სიკეთისთვის.

ნინო დობორჯგინიძე